GRASS REFORMANDA
ააიპ „საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
წერილის რეგისტრაციის № 51
თარიღი: 13 09 2019 წ.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF GEORGIA

MIA 6 19 02411607

11/09/2019

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის
"საქართველოს რეფორმების ასოციაცია"
ფაქტ-მეტრის მთავარ რედაქტორს დავით გამისონიას

მის: ქ.თბილისი, კოსტავას ქუჩა №75 გ.

ბატონო დავით,

2019 წლის №128 წერილის პასუხად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს (შემდგომში-სამინისტრო) სსიპ „112"-ის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე გაცნობებთ, რომ სამინისტროს სსიპ „112"-ში 2015 წლის პირველი იანვრიდან 2019 წლის 30 ივნისის თვის პერიოდში ცხოველისადმი სასტიკი მოპყრობის შესახებ (წამება, დასახიჩრება, მოკვლა) შემოსული შეტყობინებების რაოდენობა შეადგენს 176 (ას სამოცდათექვსმეტს).

აქვე გაცნობებთ, რომ სამინისტროს სსიპ „112" წარმოადგენს გადაუდებელი დახმარების ერთიან ნომერს (ქოლ-ცენტრს), სადაც შემოსული შეტყობინებების კლასიფიკაცია ხდება ზარის ინიციატორის მიერ მოწოდებული პირველადი ინფორმაციის საფუძველზე. შესაბამისად, მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაცია, ცხოველისადმი არასათანადო მოპყრობის შესახებ, არ შეიძლება ჩაითვალოს ზუსტ რაოდენობად, რადგან შეტყობინების საფუძველზე უფლებამოსილი სამსახურის მიერ განხორციელებული რეაგირების შედეგად, შემთხვევის ადგილზე არსებული რეალური მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის დამუშავება არ განეკუთვნება სამინისტროს სსიპ - „112"-ის კომპეტენციის სფეროს.

სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, დანართის სახით წარმოგიდგენთ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 259-ე მუხლით დაწყებული გამოძიების შესახებ სტატისტიკურ მონაცემებს, ასევე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 104-ე მუხლით გამოვლენილ სამართალდარღვევების შესახებ სტატისტიკურ მონაცემებს (რეგიონების მიხედვით).

0114, თბილისი, გულუას ქ.10 ტელ.: (+995 32) 2411068 / ფაქსი: (995 32) 2411005
10, G.Gulua str, Tbilisi 0114, Georgia. Tel.: (+995 32) 2411068 / Fax: (+995 32) 2411005
www.police.ge; e-mail: police@mia.gov.ge

დამატებით გაცნობებთ, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, სისხლის სამართლის საქმეზე ბრალის წარდგენა საქართველოს პროკურატურის პრეროგატივას წარმოადგენს. შესაბამისად, სისხლის სამართალის საქმეში არსებული ნებისმიერი სუბიექტის, მათ შორის ბრალდებული/დაზარალებული პირების შესახებ, ასევე სისხლისსამართლებრივ დევნასთან დაკავშირებით ინფორმაციის მისაღებად მიზანშეწონილია მიმართოთ საქართველოს პროკურატურას.

დანართი: 2 (ორი) ფურცელი.

პატივისცემით,

ადმინისტრაციის (დეპარტამენტი) უფროსი
გიორგი სახოკია

საქართველოს ყველა საგამოძიებო უწყება	
სსკ 259 მუხლი	გამოძიების დაწყების მუხლობრივი მაჩვენებელი
2015 წელი	19
2016 წელი	15
2017 წელი	23
2018 წელი	64
2019 წელი (იანვარი-ივნისი)	30

შენიშვნა:
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ გამოყენებული მეთოდოლოგიის მიხედვით სისხლის სამართლის სტატისტიკა გამოძიების დაწყების მაჩვენებლებს განიხილავს სტატიკურად, მხოლოდ პ ირველადი კვალიფიკაციის ფარგლებში, შემდგომი ცვლილებების დინამიურად გათვალისწინების გ არეშე.

შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრში კომპილირებული სტატისტიკური მონაცემები 2015-2018 წ.წ და 2019 (იანვარი-ივნისი) პერიოდში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 104 მუხლით "ცხოველისადმი არასათანადო მოპყრობა" გამოვლენილი სამართალდარღვევების შესახებ		
წელი	გამომვლენი	სამართალდარღვევა
2015 წ.	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	1
	შსს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველო	1
2016 წ.	-	0
2017წ.	-	0
2018 წ.	შსს იმერეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველო	2
	შსს სამცხე-ჯავახეთის პოლიციის დეპარტამენტი	1
	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	1
2019წ. (იანვარი-ივნისი)	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	1
	საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	2

შენიშვნა: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკურ დეპარტამენტში რეალიზებულია მონაცემთა ცენტრალიზებულად შეგროვების მანუალური და ავტომატიზირებული მეთოდოლოგია, რომელთაც რეგისტრაციის სხვადასხვა პერიოდულობა, აგრეთვე სისრულისა და კორექტულობის განსხვავებული ხარისხი ახასიათებთ.

აქედან გამომდინარე, საინფორმაციო მასივების ცალკეული კატეგორიების მიხედვით, მონაცემთა შემდგომი დამუშავება წარმოებს მრავალჯერადად - პირველადი, შუალედური და შემაჯამებელი ანგარიშგების სახით.

ამავდროულად, დღევანდელი მდგომარეობით მიმდინარეობს სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ბაზის სტრუქტურული რევიზირებისა და არქიტექტურული განახლება-რეორგანიზაციის პროცესები, რომლის საბოლოო დასრულებამდე, ზღვრული საშუალო სტატისტიკური ცდომილების ფარგლებში არსებობს მონაცემთა შემდგომი ცვლილების გარკვეული ალბათობა.

მონაცემები დათვლილია: 29.08.2019 წლის მდგომარეობით.